



ტრენინგები სოციალური მეწარმეებისათვის

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი და Czech Fundraising Center-ი იწვევს დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს 4-დღიან ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი ემსახურება სოციალური მეწარმეობის, როგორც დევნილების დასაქმებისა და სოციალური ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის ქმედითი ინსტრუმენტის პოპულარიზაციასა და დამკვიდრებას საქართველოში.

ტრენინგის შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ვებ-გვერდზე:
http://www.epfound.ge/index.php?article_id=347&clang=1

საგრანტო კონკურსი

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს 2011 წლის სამოქალაქო საზოგადოების ფონდის პროგრამას. წლევიანდელი პროგრამა ეძღვნება ახალგაზრდობის თემას:
„სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების ინტეგრაცია საზოგადოებაში“ ასეთი ახალგაზრდების კატეგორიები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით): შშმ ახალგაზრდები, იძულებით გადაადგილებული პირები, უსახლკარო ბავშვები, მცირეწლოვანი დამნაშავეები, ძალადობის მსხვერპლები.

სრული ინფორმაცია იხილეთ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე:
: <http://www.worldbank.org/ge> ან <http://jobs.ge/30938/>
მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში
ტელ: 913096, 912659
ელ-ფოსტა: ipaichadze@worldbank.org | kiovidze@worldbank.org
საკონტაქტო პირი: ქეთევან იოვიძე

#3 (45), მარტი, 2011

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს



სოლიდარობა იაპონელ ხალხს

2011 წლის 22 მარტს, არასამთავრო ორგანიზაციებმა: კავშირი "ინვალის ბავშვი, ოჯახი საზოგადოება" და სტუდია "ეი-დი-სი", რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან, გამართეს აქცია - „სოლიდარობა იაპონელ ხალხს“. აქციაში მონაწილეობა მიიღეს თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა და მოზარდებმა, ასევე მათი ოჯახის წევრებმა და ორგანიზაციების თანამშრომლებმა.
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა და მოზარდებმა აქციის ორგანიზატორებთან ერთად სოლიდარობა გამოხატეს იაპონელი ხალხის მიმართ. სოლიდარობის ნიშნად შშმ ბავშვებმა და მოზარდებმა

გაგრძელება მე-2 გვ.

სოლიდარობა იაპონელ ხალხს

გაგრძელება

საელჩოს თანამშრომლებს გადასცეს სპეციალურად თავის ხელით დახატული პლაკატები და მათივე გაკეთებული საჩუქრები იაპონელი თანატოლების გასამხნეველად,

1998 წელს, ჯერ კიდევ, როცა ჰუმანიტარული დახმარების პროგრამები მიმდინარეობდა ქვეყანაში, იაპონიის მთავრობამ დაიწყო თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან. ერთ-ერთი პირველი პროექტი – „სასწავლო-საგანმანათლებლო სტუდია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის“, რომელსაც მხარი დაუჭირა იაპონიის საელჩომ, სწორედ კავშირის „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების“ მიერ იყო წარდგენილი. იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა შექმნილიყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური იზოლაციიდან გამოყვანის ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი.

1999 წელს დაფუძნდა არაფორმალური განათლების სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრი, კავშირი „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოების“ ბაზაზე - სტუდია ” ეი-დი სი”, რომელიც 2003 წლიდან ცალკე იურიდიულ ერთეულად ჩამოყალიბდა არჩეული თემატიკის მნიშვნელოვნებისა და განხორციელებული აქტივობების გამო.

ორგანიზაცია „ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლების ერთ-ერთი პირველი გაერთიანება საქართველოში, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მიზანია ინვალიდობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრირება, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, საგანმანათლებლო პროგრამების წარმართვა, პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. აგრეთვე ორგანიზაციის მიზანია მშობელთა იზოლაციიდან გამოყვანა საქმიანობაში ჩართვა და გაძლიერება. 2000 წლიდან კავშირი არის არასამთავრობო ორგანიზაციის „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრი, რომელიც საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სამოქალაქო ინტერესებს და უფლებებს იცავს.

ორგანიზაცია კავშირი "სტუდია ეი-დი-სი" - დაფუძნდა 2000 წელს და იურიდიული რეგისტრაცია გაიარა 2003 წელს. ორგანიზაციის მიზანია: ახალგაზრდების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა კულტურული პროექტების განხორციელების გზით. ახალგაზრდული მედიის განვითარება საქართველოში და კულტურის სფეროში გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა.

ერთობლივი ღონისძიება

12 მარტს, სულოხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კავშირ „იას“ ბენეფიციარებთან ერთად გამართეს ღონისძიება, რომელსაც სპორტულ თამაშებში, სიმღერასა და ცეკვაში შეჯიბრის სახე ჰქონდა. ღონისძიების დასრულების შემდეგ კავშირ „იას“ ბენეფიციარებს მასპინძლებმა გადასცეს საჩუქრები.



„ადამიანს სულში ცეცხლი უგიზგიზებს,
მაგრამ არავის არ სურს მასთან გათბეს...“



ამ დევიზით გაიმართა ცნობილი მხატვრის ვან გოგისადმი მიძღვნილი დღეები 21–30 მარტს. აქციაში, რომლის ორგანიზატორი იყო კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, მონაწილეობას იღებდნენ კავშირის ორი სტრუქტურული ერთეული: თერაპიის სახლის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სოციალურ–თერაპიული სახელოსნოს ბენეფიციარები, ასევე ორგანიზაციების: „პირველი ნაბიჯის“, „მშობლების თანადგომის“, მე–200 საჯარო სკოლა პანსიონის ბენეფიციარები. აქციაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

21–დან 30 მარტამდე აღნიშნულ ორგანიზაციების ბენეფიციარებმა ვებერთელა ქაღალდები სხვადასხვა ფერებით და ფიგურებით მოხატეს. თითოეულ ორგანიზაციაში რამდენიმე ნახატი შეიქმნა და მის შექმნაში ორგანიზაციის რამდენიმე ბენეფიციარი იღებდა მონაწილეობას.

ვან გოგის დაბადების დღეს, 30 მარტს, კავშირის შენობაში დასკვნითი ღონისძიება გაიმართა – ბენეფიციარებმა წარმოადგინეს თავიანთი ნახატები და ისაუბრეს იმ განცდებზე, რომელმაც მათ ხელი შეუწყოთ ხატვისას. სტუდენტებმა ქართული ფოლკლორი, სოციალური თერაპიის სახლის ბენეფიციარებმა კი დამსწრეებს ჩრდილების საშუალებით წარუდგინეს წარმოდგენა, რომელიც ტერენტი გრანელის ცნობილი ლექსის „გაზაფხულის სადამოა მშვიდის“ მოტივებზე შეიქმნა. მუსიკალურ გაფორმებასთან ერთად, სახლის ბენეფიციარების ნაწილი, რომლებიც მაცურებელთა რიგებში იხდნენ გრანელის ლექსის სტრიქონებს ერთმანეთის მიყოლებით იმეორებდნენ.

ანონსი

კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ აწყობს ტრადიციულ სააღდგომო გამოფენა–გაყიდვას პარასკევს, 8 აპრილს 11:00–19:00 სთ. გამოფენა–გაყიდვაზე წარმოდგენილი იქნება კავშირის წევრების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ექსკლუზიური ნამუშევრები.

მისამართი: თბილისი, ძმები უბილავების ქ. #8 ტელ: 77 63 07, 77 54 85 info@apnsc.ge

